ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070409

ქვეპროგრამის დასახელება:

2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	76 000
სულ ბიუჯეტი:	76 000

ქვეპროგრამის მიზანი:

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედებისა და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 16 სამხედრო მოსამსახურის, ასევე, 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ 2 მეომრის ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევას. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, სულ 22 ბენეფიციარს, ხოლო აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 18 მეომრის ოჯახს - თითოეულს 3000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპლიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან (შემდეგ-უფლებამოსილი ორგანოები) წარმოდგენილი უნდა იქნას დაღუპულთა და მათი ოჯახის წევრთაგან მატერიალური დახმარების მიმღებ პირთა სია და საბანკო რეკვიზიტები. შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ოჯახის დახმარების თანხის წილობრივი გაცემა მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე ან შვილის კანონიერ წარმომადგენელზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დაღუპულთა დედებისა და მეუღლეების დახმარება	22	1 000	22 000
დაღუპულთა ოჯახების დახმარება	18	3 000	54 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			76 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციართა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან	X		X	
თანხის გაცემა	X		X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაღუპულთა ოჯახების სოციალური დახმარება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ომში დაღუპულთა ოჯახების სოციალური დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	18 ოჯახი	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	სოციალური დაცვის დეპარტამენტი	მოქალაქეთა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან